



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030472452581120

№ 04-184/თ

27 / მარტი / 2020 წ.

„სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე, სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N04-106/თ ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისათვის სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაც აუცილებელს ხდის „სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე, სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N04-106/თ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების ვადების ცვლილებას, მათი გახანგრძლივების გზით, აღნიშნული მიზნებისათვის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 ბრძანების, „ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო დაწესებულებებში საქმიანობის განსაკუთრებულ ღონისძიებათა განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 მარტის N529 განკარგულების, „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ორგანიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 17 მარტის N01-105/თ ბრძანების და „საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში დასაქმებულთა დისტანციური მუშაობის ორგანიზების თაობაზე“ სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 20 მარტის N04-169/თ ბრძანების გათვალისწინებით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს მხრიდან გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე, სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ სააგენტოს

დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N04-106/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაევალოთ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სოციალური მომსახურების სააგენტო):

ა) ეკონომიკურ დეპარტამენტს (ზ. ფიფია) და ლოჯისტიკის დეპარტამენტს (ზ. ჭანტურია), არაუგვიანეს 2020 წლის 22 აპრილისა, ამავე სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა;

ბ) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსებს (უფროსების ფუნქციური მოვალეობის შემსრულებლებს), არაუგვიანეს 2020 წლის 22 აპრილისა, სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული, დაქვემდებარებული ორგანოების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტთან და ლოჯისტიკის დეპარტამენტთან კოორდინაციის (შეთანხმების) რეჟიმში;

გ) ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), არაუგვიანეს 2020 წლის 22 აპრილისა, ამავე სააგენტოს ცენტრალური აპარატის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის, შესაბამისად, შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის და მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადასაცემი სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მიმდინარე/დასრულებული და მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა;

დ) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის უფროსებს (უფროსების ფუნქციური მოვალეობების შემსრულებლებს), არაუგვიანეს 2020 წლის 22 აპრილისა, სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული, დაქვემდებარებული ორგანოების მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოსათვის და სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის, შესაბამისად, შრომისა და დასაქმების ხელშეწყობის და მეურვეობისა და მზრუნველობის, აგრეთვე საერთაშორისო შვილად აყვანის მიმართულებებით გადასაცემი სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის (მიმდინარე/დასრულებული და მატერიალური/ელექტრონული) განსაზღვრა, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფა და მათ შესახებ წერილობითი ინფორმაციის (რეესტრის) წარმოდგენა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტთან კოორდინაციის (შეთანხმების) რეჟიმში.“

2. სააგენტოს:


ა) ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს, სააგენტოში მოქმედი საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის (დეს) მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) ამ ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს, სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ლ. გოგოძეს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელემენტრონულად 

გიორგი წონკოლაური